



საქართველოს პარლამენტი

პარლამენტის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის სტატისტიკის ანალიზი

2016-2018



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი



Empowered lives.
Resilient nations.

ანალიზი მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ ევროკავშირის (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით.

სარჩევი

პარლამენტის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის სტატისტიკა 2016-2018.....	1
შესავალი.....	3
პარლამენტში წარდგენილი პეტიციები	4
პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო ინიციატივები.....	5
საქართველოს პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო წინადადებები	7
მოქალაქეთა დასწრება პარლამენტის პლენარულ სხდომებზე	9
კომიტეტის სამუშაო ჯგუფები	10
მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა განცხადებები.....	13
პარლამენტის ვებ გვერდისა და სოციალური ქსელის მომხმარებელთა რაოდენობა	15
2016-2018 წლებში საქართველოს პარლამენტში ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებები.....	16
მოქალაქეთა დასწრება კომიტეტების სხდომებზე.....	17
მოქალაქეთა შენიშვნები/კომენტარები კანონპროექტებზე	19
ძირითადი მიგნებები	20

შესავალი

საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო საქმიანობას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

საქართველოს კონსტიტუციაში 2017 წლის 13 ოქტომბერს შეტანილი ცვლილებების თანახმად, საქართველო სრულად გადავიდა მართვის საპარლამენტო მოდელზე, რამაც პარლამენტის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობას განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა. ამასთანავე, საქართველოს პარლამენტი ჩართულია ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ინიციატივაში, რომლის ფარგლებშიც აღებული აქვს ვალდებულება საპარლამენტო საქმიანობა გახადოს უფრო ღია, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული. სწორედ ღია პარლამენტის ფარგლებში შემუშავდა მოქალაქეთა ჩართულობის ახალი მექანიზმები, რომლებიც ახლა ინერგება პარლამენტის მიერ.

ახალი მექანიზმების დანერგვის პროცესში მნიშვნელოვანია გამოკვლეული იყოს საპარლამენტო საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის კუთხით არსებული გამოწვევები და დადგინდეს მათი გაუმჯობესების გზები. სამომავლოდ, მსგავსი კვლევების ჩატარება და სტატისტიკის რეგულარული წარმოება დაეხმარება საქართველოს პარლამენტს, დინამიკაში დააკვირდეს არსებული მექანიზმების გამოყენების პრაქტიკას, აკონტროლოს მათი ეფექტიანობა და ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, გააუმჯობესოს ისინი.

სწორედ ამ მიზნით, პარლამენტიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია და მომზადდა ანალიზი საქართველოს პარლამენტში მოქალაქეთა ჩართულობის შესახებ. მონაცემების დამუშავების შედეგად გამოიკვეთა მოქალაქეთა ჩართულობის სტატისტიკა პარლამენტის საქმიანობის ყველა ეტაპზე. ასევე, შესაძლებელი გახდა გარკვეული პრობლემების იდენტიფიცირება, რომელთა გადაწყვეტის შემთხვევაში, სტატისტიკური მონაცემების სამომავლოდ დამუშავება და შესაბამისი შედარებითი ანალიზი მეტად გამარტივდება.


იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს პარლამენტის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის სხვადასხვა ფორმა არსებობს, მონაცემები ჩართულობის ფორმების მიხედვით დაიყო და თითოეული მონაცემი განცალკევებით დამუშავდა, რაც საშუალებას გვაძლევს უკეთ დავინახოთ ჩართულობის რომელ ნაწილშია გაუმჯობესება/გაუარესება ან მონაცემების არასწორად ასახვის პრობლემა.

პარლამენტში წარდგენილი პეტიციები

პეტიცია შეიტანება პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე და ის არის პირთა ჯგუფის წერილობითი მიმართვა, რომელიც შეეხება სახელმწიფოებრივ და საერთო პრობლემებიდან გამომდინარე საკითხებს. პეტიცია შესასწავლად გადაეცემა შესაბამის კომიტეტს ან კომისიას (შინაარსიდან გამომდინარე), რომელიც წყვეტს მიზანშეწონილად მიიჩნევს თუ არა პეტიციის შემდგომ შესწავლასა და განხილვას, ან პეტიციას უგზავნის შესაბამის უწყებას.

საქართველოს პარლამენტში 2016-2018 წლებში ჯამში 6 პეტიცია შევიდა. აქედან ყველაზე მეტი, 3 პეტიცია 2018 წელს დაფიქსირდა.

პარლამენტში შესული პეტიციების რაოდენობა



წელი	პეტიციის შინაარსი	ავტორი
2016	საქართველოში დროებით აპოსტილიანი დოკუმენტების ბრუნვის შეჩერების თაობაზე	მოქალაქე ზ. ვანიშვილი
2017	საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლის „ცხოველისადმი სასტიკი ქმედება“ გამკაცრების თაობაზე	„საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება“ თ. წიქორიძე

2017	სექსუალური შევიწროების აკრძალვის თაობაზე	„ქალთა მოძრაობა “ ბ. პატარაია
2018	ნარკოლიბერალიზაციის კანონპროექტთან დაკავშირებით	მოქალაქეები: ს. ნერგაძე, ც. ყურაშვილი და ნ. სადღობელაშვილი
2018	ფემიციდის აკრძალვის თაობაზე	ქალთა მოძრაობა კავშირი „საფარი “ თ. გოლიჯაშვილი
2018	„საქართველოს ყოველი მოქალაქე ქვეყნის რეალურ მოქალაქედ ვაქციოთ“	„გახდი მესაკუთრე “ მ. გარდავა


2012-2015 წლებში პარლამენტში 14 პეტიცია დარეგისტრირდა, მათ შორის 7 – 2015 წელს. პეტიციების შემდგომი სტატუსი მოწოდებულ ინფორმაციაში არ არის ასახული.

პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო ინიციატივები

საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის უფლება აქვს არანაკლებ 25,000 ამომრჩეველს. ინიციატივას კანონპროექტის სახე აქვს და წარდგენის შემდეგ, პარლამენტი ვალდებულია განიხილოს კანონპროექტი.

2016 წლიდან 2019 წლის მარტის ჩათვლით პარლამენტში სულ **14** საკანონმდებლო ინიციატივა იქნა წარდგენილი, საიდანაც მხოლოდ 2 დარეგისტრირდა კანონპროექტად.

საქართველოს პარლამენტში ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივები



კანონპროექტად დარეგისტრირდა:


წელი	შინაარსი	ავტორი	სტატუსი
2017	„საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებების შეტანა	ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების ეროვნული სამუშაო ჯგუფი	უარყოფილ იქნა პირველ მოსმენაზე
2018	„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა	მოქალაქეები: ნ. ხურიტი; გ. ფალავანდიშვილი ზ. ტომარაძე; ო. მანჯავიძე ნ. დარსაველიძე; დ. ლორთქიფანიძე; დ. ნოზაძე; ი. აბაშიძე	განხილვის ვადა გაუგრძელდა

საქართველოს პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო წინადადებები

საკანონმდებლო წინადადება არის პარლამენტისათვის დასაბუთებული მიმართვა ახალი კანონის მიღების, კანონში ცვლილების შეტანის ან მისი ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ. საკანონმდებლო წინადადება შესაძლოა წარდგენილ იყოს როგორც კანონპროექტის, ისე იდეის სახით. საკანონმდებლო წინადადების წარდგენის უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქეს, სახელმწიფო ორგანოებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაერთიანებებს. კვლევის მიზნებისთვის, IDFI-მ დაამუშავა, საქართველოს მთავრობისა და ადგილობრივი თვითმმართველობების გამოკლებით ყველა სხვა სუბიექტის მიერ წარდგენილი საკანონმდებლო წინადადება.

საქართველოს პარლამენტში 2016 წლიდან 2019 წლის მარტის ჩათვლით ჯამში წარდგენილი იქნა **212 საკანონმდებლო წინადადება**. აღნიშნული წინადადებებიდან უმეტესობამ უარყოფითი შეფასება მიიღო, მხოლოდ 5 დარეგისტრირდა კანონპროექტად, ხოლო 20 მათგანთან დაკავშირებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ან ისინი გადაეცა არსებულ სამუშაო ჯგუფს.

საქართველოს პარლამენტში ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადებები



2016-2019 წლებში კანონპროექტად დარეგისტრირებული 5 საკანონმდებლო წინადადება:


#	წარმდგენი	შინაარსი	მიმდინარე სტატუსი
1	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე	მიღებულია
2	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილებების შეტანის შესახებ	მიღებულია
3	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია	„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე	მიღებულია
4	საქართველოს სახალხო დამცველი	„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე	ინიცირებულია
5	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე	განხილულია ორი მოსმენით

საკანონმდებლო წინადადებების დაჯგუფება ავტორების მიხედვით 2016-2019 (მარტის ჩათვლით):

მოქალაქეები	პროფ. კავშირი	პოლიტიკური ორგანიზაცია	ა(ა)იპ	სსიპ	კერძო კომპანიები (შპს, სს)	დამოუკიდებელი ორგანოები*	მოსამართლე
100	6	26	52	7	4	14	3

*დამოუკიდებელ ორგანოებში მოიაზრება საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო და საარჩევნო კომისია.

2012-2015 წლებში პარლამენტში ჯამში 216 საკანონმდებლო წინადადება იყო წარდგენილი, მათ შორის 102 მათგანზე უარყოფითი დასკვნა გაიცა.



საკანონმდებლო წინადადებების დაჯგუფება ავტორების მიხედვით 2012-2015

მოქალაქე	პროფ. კავშირი	პოლიტიკური ორგანიზაცია	ა(ა)იპ	სსიპ	კერძო კომპანიები (შპს,სს)	დამოუკიდებელი ორგანოები*	სასამართლო	ადგილ. მუნიციპალიტეტი
77	2	42	70	4	3	15	1	1


*დამოუკიდებელ ორგანოებში მოიაზრება საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, აუდიტის სამსახური და საარჩევნო კომისია.

მოქალაქეთა დასწრება პარლამენტის პლენარულ სხდომებზე

მოქალაქეებს უფლება აქვთ, დაინტერესების შემთხვევაში მიმართონ პარლამენტს პლენარულ სხდომაზე დასწრების მოთხოვნით.

პლენარულ სხდომებზე დასწრების თხოვნით 2016-2019 (მარტის ჩათვლით) წლებში პარლამენტს ჯამში სულ ხუთმა პირმა მიმართა, აქედან ოთხმა - 2017 წელს.

პლენარულ სხდომაზე დასწრების მოთხოვნა




კომიტეტის სამუშაო ჯგუფები

კომიტეტის საქმიანობის ხელშეწყობის, საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადების მიზნით და სხვა მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით კომიტეტი ქმნის სამუშაო ჯგუფებს. კომიტეტის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შესაძლებელია შედიოდნენ პარლამენტის წევრები და შესაბამისი დარგის სპეციალისტები.

2016-2018 წლებში ყველაზე მეტი (11) სამუშაო ჯგუფი ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტში იყო შექმნილი. რვა კომიტეტში არც ერთი სამუშაო ჯგუფი არ შექმნილა.

პარლამენტის კომიტეტებში არსებული სამუშაო ჯგუფები



ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი
სოციალური მუშაობის შესახებ საქართველოს კანონის შემუშავებაში ხელშეწყობა
ბავშვის უფლებათა კოდექსის პროექტის შემუშავებაში ხელშეწყობა
დასაქმების სახელმწიფო პროგრამებთან დაკავშირებით

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი
თბილისის საზღვრებში არსებული მწვანე ნარგავების მოვლის სპეციალური ჯგუფი
ადამიანის კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ კანონის პროექტთან დაკავშირებით
ქვემო ქართლის რეგიონში გარემოს დაბინძურების შემსწავლელი ჯგუფი
საქართველოს სატყეო სექტორის რეფორმის მაკოორდინირებელი ჯგუფი
სტიქიური საფრთხეებისა და ბუნებრივი კატასტროფების საკითხებზე სამუშაო ჯგუფი
ცნობიერების ამაღლებისა და გარემოსდაცვითი განათლების გაძლიერების ჯგუფი
თევზჭერის განვითარების კონცეფციის შემუშავების მაკოორდინირებელი ჯგუფი

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი
მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

იურიდიულ საკითხთა კომიტეტი
საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში ცვლილებების თაობაზე (საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე)
მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შესახებ
მარტოხელა მშობლის სტატუსის შემდგომი დახვეწისა და გაუმჯობესებისათვის
ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების თაობაზე
საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ორგანულ კანონში ცვლილებების თაობაზე (კონსტიტუციური კანონიდან გამომდინარე)

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი
სამედიცინო სწავლებისას გვამური მასალის გამოყენების საკანონმდებლო რეგულაციებთან დაკავშირებით
ბავშვთა განვითარებისკენ მიმართული ადრეული ჩარევის სახელმწიფო კონცეფციის დამტკიცების შესახებ

შვილად აყვანის შესახებ კანონპროექტის შემუშავების თაობაზე
თამბაქოს კანონმდებლობის რეფორმასთან დაკავშირებით
ბოლო საცხოვრისის მიმართ იძულებითი აღსრულების შესახებ და სხვა დაკავშირებულ კანონებში ცვლილებების თაობაზე
საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული უქმე დღეების ჩამონათვალის გადახედვასთან დაკავშირებით
სახელმწიფო პენსიის შესახებ საქართველოს კანონში შესაძლო ცვლილებების მომზადებასთან დაკავშირებით
პალიატიური მზრუნველობის ახალ რეგულაციებთან დაკავშირებით
ფსიქიატრიული დახმარების სახელმწიფო პროგრამის მონიტორინგის, ფსიქიკური დახმარების სამსახურის რეფორმის თაობაზე
ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ საქართველოს კანონში შესაძლო ცვლილებების მომზადებასთან დაკავშირებით
წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი
სამხედრო სავალდებულო სამსახურის რეფორმასთან დაკავშირებული სამუშაო ჯგუფი


მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა განცხადებები

ნებისმიერ პირს აქვს უფლება მიმართოს პარლამენტს/პარლამენტის წევრს განცხადებით, სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით.

წელი	განცხადებების რაოდენობა მისი შინაარსის თემატური ჯგუფების მიხედვით
2016 (18.11-31.12.16)	სულ 3163 განცხადება. აქედან, მოქალაქეები – 1600 განცხადება და ორგანიზაციები – 1563 განცხადება; თემატიკა: ჯანდაცვა და სოციალური საკითხები – 285 განცხადება, დასაქმება – 57 განცხადება, უფლებების დაცვა და სამართლებრივი – დაახლოებით 900 განცხადება, განათლება – თითქმის 40 განცხადება, პარლამენტის წევრებთან შეხვედრის მოთხოვნით 200 განცხადებაზე მეტი


2017	სულ 25545 განცხადება. აქედან, მოქალაქეები – 11578 განცხადება და ორგანიზაციები – 13967 განცხადება; თემატიკა: ჯანდაცვა და სოციალური საკითხები – თითქმის 3400 განცხადება, დასაქმება – 385 განცხადება, უფლებების დაცვა და სამართლებრივი – დაახლოებით 6000 განცხადება, განათლება – თითქმის 300 განცხადება, პარლამენტის წევრებთან შეხვედრის მოთხოვნით 1000 განცხადებაზე მეტი
2018	სულ 21168 განცხადება. აქედან, მოქალაქეები – 9319 განცხადება და ორგანიზაციები – 11849 განცხადება; თემატიკა: ჯანდაცვა და სოციალური საკითხები – 2600 განცხადება, დასაქმება – 200 განცხადება, უფლებების დაცვა და სამართლებრივი – დაახლოებით 4700 განცხადება, განათლება – თითქმის 300 განცხადება, პარლამენტის წევრებთან შეხვედრის მოთხოვნით 900 განცხადებაზე მეტი

პარლამენტში შესული განცხადებები ავტორების მიხედვით




პარლამენტში შესული განცხადებების უმეტესობა ადამიანის უფლებების დაცვის/სამართლებრივ და ჯანმრთელობის ან სოციალურ საკითხებს ეხება.

პარლამენტში შესული განცხადებები თემატური ჯგუფების მიხედვით




პარლამენტის ვებ გვერდისა და სოციალური ქსელის მომხმარებელთა რაოდენობა

პარლამენტის ვებ გვერდზე რეგისტრირებული უნიკალური მომხმარებლების რაოდენობა



პარლამენტის ინფორმაციით, 2016-2018 წლებში პარლამენტის Facebook-ის ოფიციალურ გვერდზე პირად შეტყობინებაში შემოვიდა ჯამში 983 შეკითხვა და თითოეულ მათგანს გაეცა პასუხი სოციალურ მედიაზე პასუხისმგებელი პირის მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში. კერძოდ, 2016 წელი – 345 შეკითხვა, 2017 წელი – 255 შეკითხვა და 2018 წელი – 383 შეკითხვა.

პარლამენტის FACEBOOK გვერდზე შესული შეტყობინებები




2016-2018 წლებში საქართველოს პარლამენტში ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებები

ნებისმიერ პირს აქვს უფლება გამოითხოვოს საჯარო ინფორმაცია საქართველოს პარლამენტიდან.

2016-2019 წლებში საქართველოს პარლამენტიდან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით ჯამში 951 განცხადება შევიდა. აქედან მხოლოდ 273 განცხადება გაიგზავნა ელექტრონულად.

საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა




მოქალაქეთა დასწრება კომიტეტების სხდომებზე

კვლევის ფარგლებში IDFI-იმ საქართველოს პარლამენტიდან გამოითხოვა შემდეგი საჯარო ინფორმაცია: 2016-2018 წლებში საქართველოს პარლამენტის ინიციატივით კომიტეტის სხდომებზე მოწვეული ფიზიკური და იურიდიული პირების რაოდენობა წლების მიხედვით; 2016-2018 წლებში ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ, კომიტეტის სხდომებზე დასწრების სურვილით შემოსული განცხადებების რაოდენობა წლების მიხედვით (მათ შორის რამდენი დაკმაყოფილდა და რამდენს ეთქვა უარი მისი საფუძვლების მიხედვით).

- კომიტეტების ინიციატივით კომიტეტის სხდომებზე მოწვეული ფიზიკური და იურიდიული პირების რაოდენობა

პარლამენტში არსებული 15 კომიტეტიდან ერთმა (საპროცედურო კომიტეტმა) მოთხოვნილი ინფორმაცია არ მოგვაწოდა. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის, განათლების, მეცნიერებისა კულტურის კომიტეტისა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ მოიცავს სხდომაზე მოწვეულ პირთა რაოდენობას. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი მსგავსი სახის სტატისტიკას არ

აწარმოებს. ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა მოწვეული და დასწრების თხოვნით მიმმართველი პირების რაოდენობა¹ გააერთიანა, რის გამოც ვერ აისახა საერთო სტატისტიკაში. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა ინფორმაცია წლების მიხედვით არ ჩაშალა და გვაცნობა, რომ საანგარიშო პერიოდში სხდომებზე ჯამში 54 პირი მოიწვიეს. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა 2017-2018 წლების ინფორმაცია გაერთიანებულად მოგვცა და ამ პერიოდში მათ სხდომებზე მოწვეული პირების რაოდენობა 1 იყო. მიღებული პასუხის მიხედვით, იურიდიულ საკითხთა კომიტეტში სხდომებზე არავინ მოუწვევიათ და არც დასწრების მოთხოვნით შესულა ოფიციალური წერილი. მათი მითითებით, მსგავს საკითხებზე კომუნიკაცია ტელეფონით ხდება, რასაც კომიტეტი არ აღრიცხავს.




- ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ, კომიტეტების სხდომებზე დასწრების სურვილით პარლამენტში შესული განცხადებების რაოდენობა

¹ 2016 - 37 პირი, 2017 - 305, 2018 - 195 პირი.

კომიტეტების უმეტესობამ აღნიშნა, რომ მოქალაქეები სხდომაზე დასწრების თხოვნით როგორც წესი, სატელეფონო ზარის საშუალებით მიმართავენ, რომელთა აღრიცხვა არ ხდება, შესაბამისად ქვემოთ მოცემულ გრაფიკაზე მოცემულია მხოლოდ წერილობითი მოთხოვნების სტატისტიკა. რაც შეეხება აღნიშნული განცხადებების სტატუსებს, ყველა მათგანი დაკმაყოფილდა. დასწრების მოთხოვნასთან დაკავშირებული მონაცემები საერთოდ არ მოუწოდებიათ შემდეგ კომიტეტებს: აგრარულ საკითხთა კომიტეტი, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი, ჯანდაცვის კომიტეტი. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტმა 2016-2018 წლის მონაცემები გააერთიანა და მიუთითა, რომ საანგარიშო პერიოდში მხოლოდ ერთი ასეთი მოთხოვნა დაფიქსირდა, რომელიც კომიტეტმა დააკმაყოფილა.


კომიტეტის სხდომებზე დასწრების მოთხოვნა



მოქალაქეთა შენიშვნები/კომენტარები კანონპროექტებზე

რაც შეეხება ინფორმაციას მოქალაქეთა მიერ კანონპროექტებთან დაკავშირებით წარმოდგენილ შენიშვნებზე/კომენტარებზე, მსგავსი მონაცემების აღრიცხვას არც ერთი კომიტეტი არ აწარმოებს. აქედან გამომდინარე, ჩვენ დავთვალეთ მხოლოდ პარლამენტის ვებ გვერდზე მოქალაქეების მიერ კანონპროექტებთან დაკავშირებით ელექტრონულად დაფიქსირებული კომენტარები.

პარლამენტის ვებ გვერდის საშუალებით კანონპროექტებზე დაფიქსირებული კომენტარები



ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტის მიერ საჯარო ინფორმაციის სახით მოწოდებული, პარლამენტის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძირითად პრობლემას კომიტეტების მიერ ინფორმაციის აღრიცხვის ერთიანი სისტემის არარსებობა წარმოადგენს. ყველა კომიტეტი სხვადასხვა სახის ინფორმაციას აღრიცხავს განსხვავებული ფორმით, რაც შეუძლებელს ხდის მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით ერთიანი სტატისტიკის არსებობას.

პარლამენტში შესული განცხადებების და ასევე საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა რაოდენობა ადასტურებს მოქალაქეთა ინტერესს პარლამენტის საქმიანობისადმი. 2016-2018 წლებში პარლამენტის ვებგვერდისა და სოციალური ქსელების მომხმარებელთა რაოდენობის ზრდის

დინამიკაც ხაზს უსვამს ამ მიგნებას. თუმცა, მიუხედავად მოქალაქეთა ინტერესისა პარლამენტში მიმდინარე პროცესების მიმართ, ისინი თითქმის არ სარგებლობენ პეტიციის წარდგენისა და პლენარულ სხდომებზე დასწრების უფლებით. ასევე მცირეა კანონპროექტებზე მოქალაქეთა მიერ კომენტარების გაკეთებისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონულ მოთხოვნათა რაოდენობა.

პრობლემურად შეიძლება ასევე შეფასდეს, მოქალაქეების მიერ წარდგენილი საკანონმდებლო წინადადებების პარლამენტის მიერ ინიცირებისა და მათზე დადებითი დასკვნების გაცემის პრაქტიკა. კერძოდ, საქართველოს პარლამენტში 2016 წლიდან 2019 წლის მარტის ჩათვლით ჯამში წარდგენილი **212 საკანონმდებლო წინადადების** უმეტესობამ უარყოფითი შეფასება მიიღო, დადებითი დასკვნა მხოლოდ 10-ზე გაიცა, მხოლოდ 5 დარეგისტრირდა კანონპროექტად. პრობლემურია ასევე, პარლამენტის კომიტეტების მიერ ისეთი საკონსულტაციო მექანიზმის გამოყენება, როგორიც არის სამუშაო ჯგუფები. 2016-2018 წლებში პარლამენტის 14 კომიტეტიდან სამუშაო ჯგუფები შექმნილი ქონდა მხოლოდ 6 კომიტეტს, რვა კომიტეტში არც ერთი სამუშაო ჯგუფი არ ფუნქციონირებდა.

არსებული მიგნებებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ რეკომენდირებულია:

- საკანონმდებლო საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის აღრიცხვის ერთიანი სისტემის შექმნის მიზნით კომიტეტის აპარატებისათვის შემუშავდეს სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნება რა სახის ინფორმაციის აღრიცხვა, დამუშავება და რა ფორმით შენახვაა სავალდებულო.
- პარლამენტის საქმიანობის მიმართ მოქალაქეთა ინტერესის ზრდის შესაბამისად, მნიშვნელოვანია განხორციელდეს სხვადასხვა სახის საინფორმაციო/საგანმანათლებლო ღონისძიებები იმ მოქმედი/ახალი მექანიზმების (ელექტრონული და/ან ფიზიკური) შესახებ, რაც ხელს შეუწყობს მოქალაქეთა უშუალო მონაწილეობის გაზრდას საპარლამენტო საქმიანობაში. ამავდროულად, მნიშვნელოვანია ერთიანი, საქართველოს პარლამენტის საზოგადოებასთან კომუნიკაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შექმნა/განხორციელება.